ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4775131

ნომერი: AR1718857

თარიღი : 18.11.2019

გაცემის თარიღი : 03.12.2019

გაცნობის თარიღი : 10.12.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

კარტოზიას ქუჩა 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდან მუზაშვილი პ/ნ 01005014035
- თბილისი ლ.პასტერის ქ. N 7

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ფოტომონტაჟი -> .ფოტომონტაჟის pdf ფაილი : -> წარმოადგინეთ განახლებულ ფოტოსურათზე დამუშავებული ფოტომონტაჟი. მონიშნეთ თქვენს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ფართის ფასადი, დაიტანეთ გაბარიტული ზომები. დაითვალეთ პროცენტულობა. გაითვალისწინეთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე_18 მუხლის მე_10 პუნქტის თანახმად : განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს.
2. წარმოდგენილ იქნეს შპს გურმეს წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა სათანადო წესით დამოწმებული (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი), რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში, მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. წარმოდგენილ იქნეს შპს მ2 კომერციული ქონებების თანხმობის დანართი და ვინაიდან დანართით წარმოდგენილ ფოტომონტაჟზე აქვს თანხმობა გაცემული აღნიშნულ სუბიექტს.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.